ისტორიული არქიტექტურული კვლევა

წინამძღვრიშვილის ქ. №190



თბილისი
2022 მარტი

წინამძღვრიშვილის, – ყოფ. კლარა ცეტკინის - ყოფ. ელისაბედის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ისტორიული თბილისის ერთ-ერთი ძირითადი არტერიის პარალელური ქუჩათა სისტემის ნაწილია.

XVIIIს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს გამზირი არსებობს, ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა, სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის).



ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად არის გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.

არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის გამზირზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ. ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო “ვეტცელი” – არქ. ბილფელდი, კინოთეატრი “აპოლო”, მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი “სახალხო სახლი” რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.



საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის გამზირის სამხრეთი მხარე XIX ს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდი მთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ, მიხეილის გამზირზე.

1867 წლისთვის ამ უბანში, სადაც ძირითადად ევროპელი ემიგრანტები იყვნენ დასახლებულნი, ჯერ კიდევ სჭარბობდა ბაღები და ტერიტორია აუთვისებელი იყო. საპროექტო ტერიტორიის მონაკვეთი ამ გეგმაზე არც არის დატანილი. ამ დროისთვის აქ უკვე დასახულია ამ უბნის მთავარი ღერძები – მიხეილის, დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი და ელისაბედის, დღევანდელი წინამძღვრიშვილის ქუჩა.



განაშენიანება აქ დაიწყო XIX ს-ის ბოლო ათწლეულებში და ფაქტობრივად დასრულდა XX ს-ის 20-იანი წლებისთვის. ამ პერიოდისთვის ბორჯომის ქუჩის ჩრდილოეთით განაშენიანებული იყო მხოლოდ მაშინდელი პლეხანოვის – დავით აღმაშენებლის გამზირი და კლარა ცეტკინის – წინამძღვრიშვილის ქუჩების პერიმეტრები, კვარტლის შიგნით კი დარჩენილი იყო გერმანელების ბაღები.



განსახილველ ტერიტორიაზე, ძირითადად XIX საუკუნის II ნახევრის სახლებია შემორჩენილი. მათ შორის ძეგლის სტატუსი იცავს წინამძღვრიშვილის ქ. №200-ს და დ. აღმაშენებლის გამზირის №187, №197 შენობებს, რომლებიც XX საუკუნის 30-იანი წლების ფსევდოეროვნული არქიტექტურის ნიმუშებია. 1926-28 წწ. ამ კვარტალში, მაშინდელ მუშტაიდის (დღევანდელი ცაბაძის შესახვევამდე) აშენდა ე.წ. ტრამვაის მუშათა სახლები (არქ. დ. ჩისლიევი).





წინამძღვრიშვილის ქ. №200, ცაბაძის №11 ქუჩათა განაკვეთაზე მდებარე კუთხის აგურის სამსართულიანი შენობაა, რომელსაც მაღალი ნახევარსარდაფები გააჩნია. ნაგებობა XX ს-ის დასაწყისს განეკუთვნება და მიხეილის გამზირის მიმდებარე ისტორიულ განაშენიანებას ასრულებს.

უკანასკნელ პერიოდში ცაბაძის ქუჩის სახლების რიგს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. ეს რეკონსტრუქცია შეეხო აგრეთვე წინამძღვრიშვილის ქ. №200-ს, რაც გამოიხატა კერძოდ, ღიობების, ალათების ტრადიციული ხის მასალის – შავი ფერის მეტალის ალათებით შეცვლაში და სხვენის სართულზე ასევე ლითონის დეკორატიული ელემენტის დამატებაში. ამ რეკონსტრუქციის შედეგად ისტორიულმა სახლმა თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი ადაპტაცია განიცადა.





საპროექტო ტერიტორიაზე და მის ირგვლივ განლაგებულია დაბალი არქიტექტურული ღირებულების ადმინისტრაციული და სამეურნეო შენობები უსახო საწყობები, არაღირებულია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ბაზრობის შესასვლელთან მდებარე ერთსართულიანი მოცულობები.



ამჟამად აქ ურბანული გარემო დეგრადირებულია. მეტ-ნაკლებად გამორჩეული ნაგებობაა ყოფ. ავეჯის სახლის ორსართულიანი, ქუჩისკენ გამომავალი ფლიგელი. იგი 1970-80-იანი წლების სავაჭრო ნაგებობის ტიპიური ნიმუშია და ადაპტირებულია გარემოსთან.



XX ს-ის განმავლობაში უბნის ეს ნაწილი განვითარდა როგორც სამეურნეო დანიშნულების ტერიტორია და აქ მდებარე ნაგებობები არქიტექტურულად არაღირებულია. ამასთან, განაშენიანება დეგრადირებულია უსახო და ამორტიზებული მცირე მოცულობებით. დიდი კვარტალი, შემოსაზღვრული წინამძღვრიშვილის, ბორჯომის, აღმაშენებლის და ცაბაძის ქუჩებით, მთელს პერიმეტრზე XX ს-ის I ნახევრისთვის დამახასიათებელი საინტერესო არქიტექტურით არის განაშენიანებული. ჩვენთვის საინტერესო ბაზრობის წინ მდებარე ტერიტორია კი, დეგრადირებულია.



დასკვნა-რეკომენდაცია

წინამძღვრიშვილის ქ. №190-ით რეგისტრირებული საპროექტო ტერიტორია ძველი თიბლისის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონის ფარგლებში მდებარეობს, მაგრამ ამავე დროს, ქაოტური ბაზრობებით დეგრადირებული ურბანული ქსოვილის ნაწილია, რომელსაც არ გააჩნია მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება. შესაბამისად, მისი განაშენიანება ქალაქის ისტორიული ცენტრისთვის შესაფერისი თანამედროვე არქიტექტურით აუცილებელია.

ახალი მოცულობისათვის მასშტაბისა და იერსახის განმსაზღვრელი უნდა გახდეს მიკროუბნის ფარგლებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი წინამძღვრიშვილის ქ. №200.

თანამედროვე არქიტექტურული ფორმებით გადაწყვეტილი მოცულობა თავსებადი უნდა იყოს ისტორიულ უბანთან მოსაპირკეთებელი მასალით და მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლებით.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი